მაღალტექნიკური მატჩი

ლენინგრადი. ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 11 სექტემბერი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) - “დინამო” (თბილისი) 2:2 (1:0).

“ზენიტი”: ვოსტროილოვი, სოვეიკო, სპირიდონოვი, ალამი, ბელიკოვი, ზავიდონოვი, ვასილიევი, დერგაჩოვი, რიაზანოვი, ბურჩალკინი, კროტკოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, ხელაძე, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

ჩვენი ქვეყნის ორი საუკეთესო გუნდის მატჩმა 100 ათასი მაყურებელი მიიზიდა. ისინი მოელოდნენ მწვავე მომენტებით აღსავსე, ნამდვილ თანამედროვე ფახბურთს და არც შემცდარან. ორივე კოლექტივისათვის მეტად საჭიროა ქულები საბოლოოდ საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად. ამის საკმაო შანსებს ინარჩუნებს როგორც “დინამო”, ისე “ზენიტი”. ამ დღეს ლენინგრადელებმა ნახეს დიდი ფეხბურთი.

ორივე გუნდი თამაშობდა ბრაზილიური სიტემით და უნდა ითქვას, ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ამ სისტემის ბრწყინვალედ გამოყენებაში. მატჩი სწრაფ ტემპში, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ხშირად იქმნებოდა საინტერესო მომენტები ორივე კართან, მაგრამ მეკარეები და საერთოდ დაცვის ხაზი ორივე გუნდში ერთხანს მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. ბოლოს ლენინგრადელებმა მოძებნეს ბზარი თბილისელთა დაცვაში, 5-სვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და კოტრიკაძესთან პირისპირ გაიყვანეს ბურჩალკინი, რომელმაც გახსნა კიდევაც ანგარიში - 1:0. მარცხს მძაფრი იერიშით უპასუხეს სტუმრებმა. კალოევს ჰქონდა კიდეც ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ მისი თავური გარტყმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია ვოსტროილოვმა.

მეორე ნახევარი დაიწყო თბილისელთა იერიშებით. მატჩის 49-ე წუთზე მეტრეველის კუთხური ზავიდონოვმა საკუთარ კარში მოიგერია - 1:1. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ წინ ისევ “ზენიტი” იყო. ეს მოხდა თბილისელ მცველთა შეცდომით, რომლებმაც ბურჩალკინს მისცეს კარში დარტყმის საშუალება. მართალია, კოტრიკაძე ძნელ ბურთს მიწვდა, მაგრამ იგი ვერ შეიმაგრა, მიუსწრო რიაზანოვმა და ბადეში გახვია.

ერთხანს კვლავ ინიციატივას მასპინძლები ფლობენ, კოტრიკაძეს უხდება რამდენიმე ძნელი ბურთის აღება. შემდეგში თამაში გათანაბრდა, სულ მალე კი მოედანს დინამოელები დაეპატრონენ. განსაკუთრებით აქტიურობენ ზეინკლიშვილი, მეტრეველი, კალოევი და მესხი.

მე-60 წუთზე მესხმა სპირიდონოვთან ორთაბრძოლაში, ამ უკანასკნელის უხეშობის მიუხედავად, შეძლო ბურთი კალოევისათვის მიეწოდებინა, რომელმაც იგი ბადეში გაგზავნა, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა - სპირიდონოვი დააჯარიმა უხეშობისათვის. ამ სიურპრიზმა მეტი სიმწვავე შეიტანა თბილისელთა იერიშებში. 11 ლენინგრადელი დაცვაზე გადავიდა, ამასთან მასპინძლები ცდილობდნენ ტემპის შენელებას, მაგრამ დინამოელთა იერიშები თანდათან გახშირდა, მოწინააღმდეგის ნახევარზე გადმოინაცვლეს თბილისელთა მცველებმა. ჯერ ხურცილავას უძლიერესი დარტყმა ოდნავ გადაცდა ზემოდან ძელს, შემდეგ, 86-ე წუთზე ჩოხელის შეტევა კინაღამ გოლით დამთავრდა. კარი იხსნა სპირიდონოვმა. და ბოლოს, მატჩის

დამთავრებამდე 2 წუთით ადრე, ზეინკლიშვილის მოწოდებიდან კალოევმა მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება - 2:2.

“ლელო”, 12 სექტემბერი, 1963 წ.